ხელშეკრულება N 34/19

სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

(ელექტრონული ტენდერი **SPA180008553**)

ქ. თბილისი 19 დეკემბერი 2018 წ.

საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური (მის: ქ. თბილისი, 9 აპრილის ქ. N4, საბანკო რეკვიზიტები: სახელმწიფო ხაზინა, კოდი - TRESGE22, საიდ. კოდი - 204584887), შემდგომში წოდებული „შემსყიდველად", წარმოდგენილი ეკონომიკური დეპარტამენტის დირექტორის **სერგო ჯანელიძის** სახით და

მიმწოდებელი: **შ.პ.ს „ჯეოტურანი", საიდენტიფიკაციო კოდი: 412670499;**

მისამართი, ტელეფონი: ქ. თბილისი, აკ.ბელიაშვილის ქ.132, ტელ: 568 600 308;

დირექტორი: პაატა რუსაძე,

საბანკო რეკვიზიტები: ს.ს. „თი ბი სი ბანკი" ბ/კ: TBCBGE22; ანგ. ანგარიში: GE60TB7930236020100005.

ორივე ერთად აღიარებული, როგორც „მხარეები", ვმოქმედებთ რა საქართველოს კანონმდებლობის და „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის საფუძველზე, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას:

1. გამოყენებული ტერმინების განმარტება

ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

1.1 „ხელშეკრულება" - შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.

1.2 „ხელშეკრულების ღირებულება" - საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.

1.3 „დღე", „კვირა", „თვე" - კალენდარული დღე, კვირა, თვე.

1.4 „შემსყიდველი" - ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს სახელმწიფო შესყიდვას.
„მიმწოდებელი" - პირი, რომელიც ახორციელებს მომსახურების გაწევას ამ ხელშეკრულების ფარგლებში.

1.5 „მომსახურება" - წინამდებარე ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.

1.6 „ტექნიკური დოკუმენტაცია" - მიმწოდებლის მიერ **SPA180008553** ელექტრონულ ტენდერში სატენდერო წინადადებით წარმოდგენილი ტექნიკური დოკუმენტაცია, რომელიც ერთვის ხელშეკრულებას, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

2. ხელშეკრულების საგანი

2.1 წინამდებარე ხელშეკრულების დანართი N1-ით განსაზღვრული **საკანალიზაციო სისტემების გაწმენდა-გაშვების სამუშაოებისა და ანტისეპტიკური ჭის ასენიზაციის (ამოტუმბვის) სამუშაოების** შესყიდვა (CPV - 90400000).

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1 ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს - **10000.00** (ათი ათასი) ლარს, ხოლო პრეისკურანტის ღირებულება **300.00** (სამასი) ლარი.

3.2 ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს გასაწევი მომსახურების ღირებულებას, წინამდებარე ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებით მიმწოდებლის მიერ გაწეულ ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს.

3.3 წინამდებარე ხელშეკრულების პირობების, მათ შორის ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისათვის, გარდა, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

4. მხარეთა ვალდებულებები

4.1 მიმწოდებელი ვალდებულია:

ა) შემსყიდველს გაუწიოს ხელშეკრულების დანართი N1-ით განსაზღვრული მომსახურება დანართი N1-ში მითითებულ ვადებში და მისამართზე;

ბ) დავალება გაიცემა, როგორც სიტყვიერად, ასევე ელექტრონულ ფოსტაზე შეტყობინების გაგზავნის გზით;

გ) ელექტრონულ ფოსტაზე შეტყობინების მიღების თარიღი ჩაითვლება შესასრულებელი დავალების გაცემის თარიღად;

დ) შემსყიდველი უფლებამოსილია შეწყვიტოს მიმდინარე ხელშეკრულება, თუ მიმწოდებელზე გაგზავნილ იქნა ორი ან მეტი გამაფრთხილებელი წერილი, სადაც დაფიქსირებული იქნება მათ მიერ სამუშაოს არაჯეროვნად ან ვადაგადაცილებით შესრულების შემთხვევები;

ე) საჭიროების შემთხვევაში ფასთა ცხრილის (პრეისკურანტი) მიხედვით მომსახურების გაწევა უნდა მოხდეს გამოძახებიდან უმოკლეს დროში (არაუმეტეს 12 საათისა), კვირის ნებისმიერ დღეს;

ვ) ასენიზაციის მომსახურება უნდა მოიცავდეს მანქანის გასაჩერებელი მოედნიდან 8 მეტრით დაშორებული 6 მეტრი სიღრმის საკანალიზაციო ჭიდან ნარჩენების სრული რაოდენობის ამოტუმბვას და ტერიტორიიდან გატანას;

ზ) სამუშაოების მსვლელობის დროს გათვალისწინებული უნდა იყოს უსაფრთხოების ნორმების დაცვა;

თ) მომწოდებლმა სამუშაოების წარმოებისას დაუდევრობის შედეგად მიყენებული ზიანი უნდა აღმოფხვრას საკუთარი ხარჯებით;

ი) შესყიდვის ღირებულება უნდა მოიცავდეს ტრანსპორტირების ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ ყველა გადასახადს.

კ) ხელი შეუწყოს შემსყიდველს ხელშეკრულების პირობების შესრულების კონტროლის განხორციელებაში, განიხილოს შემსყიდველის პრეტენზიები, მიაწოდოს მოტივირებული პასუხი ყველა საკითხზე და დაუყოვნებლივ უზრუნველყოს აღმოჩენილი ხარვეზის გამოსწორება;

ლ) განახორციელოს ამ ხელშეკრულებით მასზე დაკისრებული სხვა ვალდებულებები.

4.2 შემსყიდველი ვალდებულია:

ა)აუნაზღაუროს გაწეული მომსახურების ღირებულება ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვადებში და ფორმით;

ბ) უზრუნველყოს ხელშეკრულების შესრულების კონტროლი;

გ) განახორციელოს ამ ხელშეკრულებით მასზე დაკისრებული სხვა ვალდებულებები.

5. ხარისხი

5.1 ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების ხარისხი უნდა შეესაბამებოდეს ხელშეკრულების 4.1 პუნქტის განსაზღვრულ პირობებს.

6. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი და სამუშაოს მიღება-ჩაბარების წესი

6.1 შემსყიდველის მიერ მომსახურების გაწევის ვადების, ხარისხის და მოცულობის ხელშეკრულების მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენა და ხელშეკრულების პირობების შესრულების კონტროლი განხორციელდება პერიოდულად, როგორც მომსახურების გაწევის დროს, ისე ამ ხელშეკრულების მოქმედების მთელი პერიოდის განმავლობაში.

6.2 ხელშეკრულების პირობების შესრულების კონტროლს განახორციელებს **სუს ეკონომიკური დეპარტამენტის, მატერიალურ ტექნიკური უზრუნველყოფის მთავარი სამმართველოს, ქონების მართვისა და ექსპლუატაციის სამმართველოს საკომენდანტო სამსახურის უფროსის მოადგილე ზაქარია იოსებაშვილი, ხოლო გაწეული მომსახურების მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებას უზრუნველყოფს სუს ქვედანაყოფის ხელმძღვანელი ან/და სხვა უფლებამოსილი პირი**

6.3 შემსყიდველის შესაბამისი წარმომადგენელი (წარმომადგენლები, მოწვეული ექსპერტი) უფლებამოსილია ჩაატაროს ხარისხის კონტროლი. უხარისხოდ გაწეული მომსახურების აღმოჩენისას მიმწოდებელი ვალდებულია წერილობითი შეტყობინებიდან **10 (ათი) დღის** განმავლობაში გამოასწოროს წუნი.

6.4 ობიექტური მიზეზით 6.3 პუნქტით განსაზღვრულ ვადაში წუნის გამოსწორების შეუძლებლობისა და შემსყიდველის მიერ გაწეული მომსახურების ღირებულების დროული ანგარიშსწორების შემთხვევაში, მიმწოდებელი ვალდებულია დაუბრუნოს შემსყიდველს აღნიშნული მომსახურების ღირებულება შემსყიდველის მიერ მითითებულ გონივრულ ვადაში.

6.5 შემსყიდველი უფლებამოსილია განაცხადოს უარი უხარისხო ან დაგვიანებით გაწეული მომსახურების ნაწილის ან მთლიანი მოცულობის მიღებაზე.

6.6 მომსახურების მიღება წარმოებს მიღება-ჩაბარების აქტის სახით. მიღება-ჩაბარების აქტი ფორმდება წერილობითი

ფორმით, მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერით.

6.7 ამ მუხლის 6.2 პუნქტში მითითებული პირის მიერ მიღება-ჩაბარების აქტის ხელმოწერით, მომსახურების მიღებასთან ერთად დასტურდება ხელშეკრულების შესრულების კონტროლის განხორციელებაც.

6.8 იმ შემთხვევაში, თუ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების დღე ემთხვევა არასამუშაო დღეს, მაშინ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმება შესაძლებელია განხორციელდეს მომდევნო სამუშაო დღეს. აღნიშნული არ ჩაითვლება მიმწოდებლის მხრიდან ვადის გადაცილებად.

7. ანგარიშსწორება

7.1 ანგარიშსწორება განხორციელდება შემდეგი პირობებით:

ა) ანგარიშსწორების ვალუტა - ლარი;

ბ) ანგარიშსწორების ფორმა - უნაღდო, წინამდებარე ხელშეკრულებაში მითითებული მიმწოდებლის საბანკო რეკვიზიტების შესაბამისად.

7.2 შემსყიდველი იღებს ვალდებულებას გადაუხადოს მიმწოდებელს გაწეული მომსახურების ღირებულება მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან და თანმდევი დოკუმენტაციის (საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურა) გამოწერიდან/წარმოდგენიდან **10 (ათი) სამუშაო დღის** განმავლობაში, ხოლო იმ შემთხვევაში თუ მიმწოდებლის მიმართ გამოყენებული იქნება მე-9 მუხლით განსაზღვრული საჯარიმო სანქციები, მიმწოდებლის მიერ აღნიშნული საჯარიმო თანხის გადახდიდან **10 (ათი) სამუშაო დღის** განმავლობაში.

8. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

8.1 ხელშეკრულების შესრულების პროცესში იმ ხელისშემშლელი გარემოებების გამოვლენისას, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, მხარეები დაუყოვნებლივ ატყობინებენ ერთმანეთს წერილობით შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღები მხარე ვალდებულია შეძლებისდაგვარად მოკლე დროში აცნობოს მეორე მხარეს მის მიერ მიღებული გადაწყვეტილება აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.

9. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

9.1 წინამდებარე ხელშეკრულების 4.1 პუნქტის „ა" ქვეპუნქტით გათვალისწინებული მომსახურების გაწევის ვადების გადაცილების შემთხვევაში ან 6.3 პუნქტით განსაზღვრული პირობების დარღვევისას, მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო, შესაბამისად ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე, შეუსრულებელი ან/და უხარისხო გაწეული მომსახურების ღირებულების **0.2%-ის** ოდენობით.

9.2 იმ შემთხვევაში თუ 9.1 პუნქტით გათვალისწინებული დარღვევებისათვის ვადაგადაცილებული დღეების რაოდენობა გადააჭარბებს 30 კალენდარულ დღეს, შემსყიდველი უფლებამოსილია მიმწოდებელს დააკისროს პირგასამტეხლო **ხელშეკრულების ღირებულების 5%-ის ოდენობით.**

9.3 შემსყიდველი უფლებამოსილია, მიმწოდებლის მხრიდან ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების არაჯეროვნად შესრულების ან ნაკისრ ვალდებულებებზე უარის თქმის შემთხვევაში, მიმწოდებელს დააკისროს ჯარიმა **ხელშეკრულების ღირებულების 5%-ის ოდენობით.**

9.4 პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

10. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

10.1 ნებისმიერი ცვლილება წინამდებარე ხელშეკრულებაში განხორციელდება წერილობით, ორივე მხარის უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ დადასტურებული ხელმოწერით.

10.2 წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო, ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობის წარმოშობისას, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

11. დავების გადაწყვეტა

11.1 ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეთა შორის წარმოქმნილი უთანხმოება წყდება მოლაპარაკების გზით.

11.2 თუ მოლაპარაკებით შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადავო საკითხის გადაწყვეტას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესით მიმართოს სასამართლოს.

12. ხელშეკრულების შეწყვეტა

12.1 შემსყიდველი უფლებამოსილია ხელშეკრულების ნებისმიერ ეტაპზე ან/და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ სხვა შემთხვევებში, მთლიანად ან ნაწილობრივ შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულება, თუ მიმწოდებელი ვერ უზრუნველყოფს წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულებას და გამოიყენოს 9.3 პუნქტით გათვალისწინებული საჯარიმო სანქცია. აღნიშნულის შესახებ

შემსყიდველი წერილობით აცნობებს მიმწოდებელს.

12.2 შემსყიდველის მიერ ხელშეკრულების ცალმხრივად შეწყვეტის შემთხვევაში შემსყიდველი პასუხს არ აგებს ხელშეკრულების შეწყვეტის შედეგად გამოწვეული ზიანისათვის, გარდა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი შემთხვევებისა.

12.3 ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს მხარეთა წერილობითი შეთანხმების საფუძველზე.

12.4 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შესრულებისგან.

13. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

13.1 წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის ხელმოწერის დღიდან 2019 წლის 1 იანვრიდან და მოქმედებს **2020 წლის 31 იანვრის ჩათვლით.**

14. ფორს-მაჟორი

14.1 წინამდებარე ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა გამოწვეულია ფორს-მაჟორული მდგომარეობით.

14.2 წინამდებარე ხელშეკრულებისთვის „ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებულნი შემსყიდველის ან/და მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნიათ წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნეს ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით, საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

14.3 მხარემ, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება, ვალდებულია დაუყოვნებლივ აცნობოს მეორე მხარეს წერილობით შექმნილი გარემოების და მისი სავარაუდო აღმოფხვრის ვადის შესახებ, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი არ თავისუფლდება ხელშეკრულების პირობების სრული ან ნაწილობრივი შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისგან.

15. სხვა პირობები

15.1 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე თანაბარი იურიდიული ძალის მქონე სამ იდენტურ ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი ეგზემპლარი გადაეცემა მიმწოდებელს, ხოლო ორი - შემსყიდველს.

16. მხარეთა რეკვიზიტები

შემსყიდველი	მიმწოდებელი
საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების	შ.პ.ს. „ჯეოტურანი";
სამსახური	მის: ქ. თბილისი, აკ.ბელიაშვილის ქ.132;
მის: ქ. თბილისი, 9 აპრილის ქ. N4	ტელ: 568 600 308; ელ. მის: accountant@turanmak.ge.
ტელეფონი: 2 41 44 03	საბანკო რეკვიზიტები:
საბანკო რეკვიზიტები:	ს/ს „თი ბი სი ბანკი"
სახელმწიფო ხაზინა, კოდი TRESGE22,	ბ/კ TBCBGE22;
ს/კ: 204 584 887	ა/ა GE60TB7930236020100005;
	ს/კ 412670499.

სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის	შ.პ.ს. „ჯეოტურანის"
ეკონომიკური დეპარტამენტის დირექტორი	დირექტორი
სერგო ჯანელიძე	პაატა ჭრუსაძე

დანართი N1

ფასების ცხრილი

№	*დასახელება*	*პრეისკურანტის ღირებულება (ლარი)*	*ხელშეკრულების ღირებულება (ლარი)*	*მომსახურების ადგილი*	*მომსახურების ვადა*
1	სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის სხვადასხვა ობიექტებზე არსებული საკანალიზაციო სისტემების გაწმენდა-გაშვების სამუშაოებისა და ანტისეპტიკური ჭის ასენიზაციის (ამოტუმბვის) სამუშაოების შესყიდვა	**300.00**	**10,000.00**	ქ. თბილისში და ახლომდებარე რაიონებში, არაუმეტეს 40კმ რადიუსში მდებარე სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ობიექტები.	2019 წლის 1 იანვრიდან 2019 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით

შემსყიდველი:

სახელმწიფო უსაფრთხოების
სამსახურის
ეკონომიკური დეპარტამენტის
დირექტორი

სერგო ჯანელიძე

მიმწოდებელი:

შპს. "ჯეოტურანის" დირექტორი

პაატა რუსაძე

პრეისკურანტი

N	მომსახურების დასახელება	განზომილება	რ-ბა	პრეტენდენტის მიერ შემოთავაზებული ერთეულის ფასი (ლარი)
1	საკანალიზაციო ცენტრალური დგარის გაწმენდა-გაშვება	ცალი	1	43.64
2	საკანალიზაციო მწოლიარე მილის გაწმენდა-გაშვება	ცალი	1	49.09
3	თურქული ნიჟარის გაწმენდა-გაშვება	ცალი	1	30.00
4	უნიტაზის გაწმენდა-გაშვება	ცალი	1	30.00
5	საკანალიზაციო ჭის გაწმენდა-გაშვება	ცალი	1	43.64
6	საკანალიზაციო ტრაპის გაწმენდა-გაშვება	ცალი	1	30.00
7	საკანალიზაციო ქსელის წყლის ჭავლით გარეცხვა	მეტრი	1	10.91
8	ასენიზაციის სატუმბი სპეც. მანქანით მომსახურეობა	კუბ.მ	1	43.64
9	მილების კამერით დათვალიერება	მეტრი	1	13.64
10	საკანალიზაციო მილის გაწმენდა სპირალით	მეტრი	1	5.45
	სულ ჯამი			300.00

მიმწოდებელი

შპს "ჯეოტურანის" დირექტორი

პაატა რუსაძე

გავეცანით, ვეთანხმებით ხელშეკრულების პირობებს. `სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-8 მუხლის თანახმად მიმწოდებელთან ინტერესთა კონფლიქტში არ ვიმყოფებით

დირექტორის მოადგილე

თ. კრიჭინაშვილი

დირექტორის მოადგილე

გ. დვალაძე

მთავარი სამმართველოს უფროსი

დ. გოლეთიანი

მთავარი სამმართველოს უფროსი

მ. ნებიერიძე

სამმართველოს უფროსი

მ. ზავრადაშვილი

სამმართველოს უფროსი

გ. კაკაურიძე

სამმართველოს უფროსის მოადგილე

დ. გაბრიელაშვილი

სამსახურის უფროსი

შ. ღონღაძე

სამსახურის უფროსის მოადგილე

ზ. იოსებაშვილი

განყოფილების უფროსი

ა. კახიძე

მთავარი სპეციალისტი

ნ. მეტრეველი